

## დეკემბერი, 2024 კლიმატური დახასიათება

დეკემბრის დასაწყისში და თვის ბოლო დღეებში ცენტრალურ ევროპაზე დამყარებული მაღლივი ანტიციკლონის გავლენით საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მაღალი წნევის არე განაპირობებდა უმეტესად უნალექო ამინდებს. თვის შუა რიცხვებში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაზე განვითარებული ციკლონების აქტივობის შედეგად ადგილი ჰქონდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან ცივი და ნოტიო ჰაერის მასების შემოსვლას, რაც თავის მხრივ იწვევდა ძლიერი ინტენსივობის ნალექებს და ტემპერატურის მკვეთრ დაცემას, ხოლო თვის განმავლობაში აღნიშნული ეპიზოდები შედარებით მაღალი ტემპერატურებით დაკავშირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე სამხრეთიდან ჰაერის მასების გავრცელებასთან.

დეკემბერში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში აღინიშნა (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ  $+0.2^{\circ}\text{C}$  შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით ( $+1.5^{\circ}\text{C}$ -მდე) სამეგრელოს შავი ზღვისპირა რაიონებში, ასევე, ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები ( $-1.0^{\circ}\text{C}$ -მდე) ქვეყნის ცალკეულ ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში დაიკვირვებოდა.

თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე  $+7$ ,  $+11^{\circ}\text{C}$ , დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე  $+2$ ,  $+6^{\circ}\text{C}$  ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში  $-2$ ,  $+2^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს რაიონებში თვის პირველ ნახევარში (9-12 დეკემბერი), ხოლო კოლხეთის დაბლობსა და კახეთში, ძირითადად, თვის ბოლოს (23-25 დეკემბერი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას დეკემბრის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს  $+19$ ,  $+22^{\circ}\text{C}$ -ს შავი ზღვის სანაპირო ზოლში და მიმდებარე დაბლობ რაიონებში მიაღწია.

დეკემბერში ყველაზე დაბალი ტემპერატურები თვის შუა რიცხვებში (15-16 დეკემბერი) აღინიშნა, როდესაც აბს. მინიმუმები მთიან და ასევე, ქვეყნის ცენტრალურ ვაკე რაიონებშიც (ხაშური, გორი)  $-12$ ,  $-15^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო მაღალ მთაში ზოგან  $-20$ ,  $-23^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა.


ნალექების რაოდენობის მიხედვით, დეკემბრის თვე ქვეყნის დასავლეთში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ნორმის მახლობელი ან უფრო მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში ნალექების მნიშვნელოვანი დეფიციტი აღინიშნებოდა (ნახ.2).

ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა შიდა ქართლში, ნორმალურ მნიშვნელობებთან შედარებით 2.5-3.0-ჯერ მაღალი ნალექების თვის ჯამებით. ასევე, ნორმასთან მიმართებაში დაახლოებით 2-ჯერ მეტი ნალექი დაფიქსირდა კოლხეთის დაბლობზე, სადაც ქვეყნის ფარგლებში ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (260-270 მმ) მოვიდა. ყველაზე მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 30%-მდე) კახეთის ცალკეულ რაიონებში და მცხეთა-მთიანეთში დაიკვირვებოდა.


როგორც ჩანს, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო, ძირითადად, ერთი ან რამდენიმე უხვნალექიანი ეპიზოდით, რომელსაც ძირითადად თვის შუა რიცხვებში ჰქონდა ადგილი. ამასთან, თვის განმავლობაში მთელს ტერიტორიაზე აღინიშნა ნალექიან დღეთა სიმცირე.

13-19 დეკემბრის პერიოდში ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ მოვლენებს. ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე უხვი ატმოსფერული ნალექი, შავი ზღვის სანაპირო ზოლში შტორმული ღელვა, ხოლო მთიან რაიონებში ძლიერი თოვა და ქარბუქი აღინიშნა: 13-14 დეკემბერს აჭარაში, იმერეთში და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო 17-18 დეკემბერს, ასევე, სვანეთში, შიდა ქართლში და ქვემო ქართლში (წალკის მუნიციპალიტეტი). კერძოდ, ქუთაისში, ზესტაფონში და ზუგდიდში 17-18 დეკემბერს მოსული ატმ. ნალექების რაოდენობამ 100-125 მმ შეადგინა, რაც დეკემბრის თვის კლიმატური ნორმის 80-90%-ს შეესაბამება. ასევე ძლიერი ინტენსივობის ნალექი აღინიშნა 18-19 დეკემბერს შიდა ქართლში (ხაშური, გორი), სადაც მოსული ნალექების რაოდენობამ (65-75 მმ) თვის ნორმას 1.5-2-ჯერ გადააჭარბა.

აღნიშნულ პერიოდში რთული მეტეოროლოგიური პირობების და ცალკეულ ტერიტორიებზე ზვავსაშიშროების გამო, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე შეიზღუდა ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. დიდთოვლობამ შეზღუდვები გამოიწვია ასევე ელექტროენერჯის მიწოდებაში. დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები და ინფრასტრუქტურა. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, აჭარის სანაპირო ზოლში შტორმის შედეგად დაზიანდა სანაპირო ბულვარის ნაწილი, ქვაფენილები, მოსასვენებელი სკამები, დამცავი ჯებირი და მწვანე ნარგავები.



ნახ.1. დეკემბრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების დეკემბრის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში